ცნობის ფურცელი

№ 2214 შაბათი, 22 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 221

ფასი გაზეთისა: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ფურცლის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და ცალკე ნომრები მიიღება: „ცნობის ფურცლის" რედაქციის კანტორაში ... ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ცნობის ფურცელი" ყველა ტფილისელ გამყიდავებთან ღირს ცალკე ნომერი 3 კაპ. და სურათებიანი დამატებით-კი 5 კაპ.

გაზეთები იყიდება აგრეთვე ქუთაისში ვ. ბეჟანიშვილის და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგ. წიგნების მაღაზიებში.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ თეატრის კანტორაში 5 აგვისტომდე ყოველ დღე, დილის 12-დან 1 საათამდე. (3—უ.—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. სოკოლოვსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკაის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.

(წდ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
15 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდე მიიღებს ავადმყოფებს ახალციხეში. (3—1)

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრიელ იოსების ძე
გოკიელოვი
გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—ნ.—2)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს

მთარგმნელთა საყურადღებოდ:

გასამრჯელო მთარგმნელებს მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თარგმანში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა დამდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზე. (5—უ.—2)

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი
მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.

რეუტოვის ქუჩა, № 6.

(10—124—8)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. 11 ივლისს დარგემის საგრაფოში, ბარნარდ-კესტლში დეპუტატთა პალატის წევრი აირჩიეს. ეს არჩევანი მით უფრო საინტერესო იყო, რომ ლიბერალურმა და მუშების პარტიებმა თავ-თავიანთ საკუთარი კანდიდატი დაასახელეს. რასაკვირველია, ეს განხეთქილება ძლიერ სასარგებლო უნდა ყოფილიყო ამათ საერთო მოპირდაპირისათვის, ესე იგი—უნიონისტებისათვის. 1900 წლის არჩევნის დროს ამ ოლქში ლიბერალი პეზი აირჩიეს 5,036 ხმით, კონსერვატორების კანდიდატს მაშინ 3,545 ხმა მიეღო. ეხლანდელ არჩევნის წინ ჩემბერლენის სატარიფო პროექტის მომხრეებმა მრავალი მოწოდება გაავრცელეს ოლქში. რაკი ლიბერალებსა და მუშებს განხეთქილება მოუვიდათ, უნიონისტები დარწმუნებულნი იყვნენ, ნამდვილად გავიმარჯვებთო. უნიონისტებმა წინადვე მრავალი კორესპონდენტი გაჰგზავნეს, რომ ეს გამარჯვება შესაფერისად აეწერათ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ: გამარჯვებული მუშების კანდიდატი ჰენდერსონი გამოვიდა. ჰენდერსონმა 3,670 ხმა მიიღო. კონსერვატორმა პოლკოვნიკმა ვენმა 3,323 ხმა და ლიბერალმა ბომონმა—2,809. ჰენდერსონი ბაჟების დაწესების წინააღმდეგია. ამისი არჩევა ძლიერ დააფიქრებს პროტექციონისტებს. ეს არჩევანი სხვაფრივაცაა საყურადღებო მუშები შარშანვე იმ აზრს დაადგნენ, რომ ამას იქით საკუთარი წარმომადგენლები ავირჩიოთ პარლამენტშიო. ამ აზრს, ეტყობა, ფესვი გაუდგამს მუშებში.

◆ გაზეთები კიდევ იუწყებიან, ჩემბერლენი დიდ აგიტაციას გამართავს მთელს ინგლისშიო; ოქტომბერში პროვინციაში დაიწყებს და იანვარში ლონდონში გაათავებსო. ჩემბერლენმა თითონაც მისწერა ამაზე ჯოზეფ დიმსდელს: „პროვინციაში კრებებზე, სადაც დავესწრები, ვეცდები ეხლანდელი სადავო საგანი (ბაჟების დაწესება) გამოვარკვიო და დიდად მოხარული ვიქნები, რომ ჩემი აზრები იმპერიის სატახტო ქალაქსა და მთელის ქვეყნიერობის სავაჭრო ცენტრში (ლონდონში) ჩემს მოქალაქეებს გავაცნოო“.

◆ თავისუფალ ვაჭრობის მომხრე უნიონისტებიც ეხლავე ემზადებიან აგიტაციისათვის. ამათი მეთაური ჰიქს-ბიჩი ოქტომბერში გლაზგოში ილაპარაკებს; იმავე დროს ლორდ გოშენი ლივერპულში წარმოსთქვამს სიტყვას. ყოფილ პირველ-მინისტრის მარკიზ სოლსბერის შვილი ლორდ გიუგ სესილი ჩემბერლენის სამშობლო ქალაქ ბირმინჰამში ილაპარაკებს. ამათ გარდა ილაპარაკებენ ბ-ნი ჯონ გორსტი, ლორდ ლიტანი და ლორდ ჯემს ჰერსფორდი.

კონსერვატორების „პრიმროზ ლიგის“ კრებაზე მთავრობის მომხრე პარტიის უმთავრეს გამგე ეკლენდ-გუდის წერილი წაიკითხეს. ეკლენდ-გუდი სწერდა კრებას, საზოგადო არჩევანი ახლო მომავალში არ მოხდებაო.

◆ წარსულ სამშაბათს დეპუტატთა პალატის სადგომში ორსავე პარტიის დეპუტატებმა კრება მოახდინეს და ინგლისის სატეხნიკო განათლების გაძლიერებაზე მოილაპარაკეს. კრებამ კომისია აირჩია (ასკიტი, გოლდონი და სხვ.) და მიანდო, სავაჭრო პალატებს და გამოჩენილ მრეწველებს მოელაპარაკეთ და ღონისძიება აღმოაჩინეთ, რომ ინგლისის სატეხნიკო განათლება გაძლიერდეს და შეერთებულ შტატებისა და გერმანიის სატეხნიკო განათლებას მიეწიოსო.

საფრანგეთი. სამღვდელოების უმაღლესმა წარმომადგენლებმა პაპის გარდაცვალებით ისარგებლეს და კომბის ანტიკლერიკალურ პოლიტიკის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. რუანის არქიეპისკოპოსმა კარდინალმა ლაბურემ ცირკულიარი გამოსცა. კარდინალი ცირკულიარში, სხვათა შორის, სწერს თავის ეპარქიას: „საფრანგეთის რევოლიუცია აგერ თითქმის ასი წელიწადია ეკკლესიას ებრძვის. ამ ბრძოლამ ეხლა უკიდურესობამდე მიაღწია. ეკკლესია კანონ გარეთ მოექცა; სკოლიდანა და ხალხის გონებიდან ღმერთი განდევნეს. ასეთია უკანასკნელი სიტყვა რევოლიუციისა. ლევ მე-XIII-მ მთელი თავისი სიცოცხლე ამ ბოროტ ძალასთან ბრძოლას მოანდომა“.

◆ პარიზელ მეეტლეებსაც (მეფაიტონეებს) საყოველთაო გაფიცვა მოუხდენიათ, ანუ ჩვენებურად რომ ვსთქვათ, „ბუნტი ჩაუგდიათ“. გაფიცულ მეეტლეებს ეხლანდელ ტაქსის გამოცვლა მოუთხოვიათ.

იტალია. პაპის არჩევანი 18 ივლისს დაიწყო; უცხოელი კარდინალები თანდათან იკრიბებიან; ყველანი გაცხარებით ლაპარაკობენ იმაზე, თუ ვინ იქნება არჩეული პაპად. გოტის კანდიდატურაზე ეხლა შედარებით ნაკლებ ლაპარაკობენ, ამის მაგიერ ეხლა ყველას ორელიას კანდიდატურა აკერია პირზე. ორიოდე დღის წინად კი ორელიას არჩევის იმედი არავის არა ჰქონდა. ორელიას წინადაც დიდს პატივსა სცემდნენ ვატიკანში იმის მედგარ ხასიათისა და ეკლესიის ინტერესების ერთგულებისათვის, მაგრამ კარდინალების უმეტესობას ძლიერ ეშინოდა იმის სიმკაცრისა და სასტიკობისა; ეხლა პაპის თანამდებობის ასრულებას შეუდგა და ძლიერ ხერხიანადაც იქცევა, თავის მტერ რამპოლას შეურიგდა და კარდინალებს შიში მთლად გაუქარწყლა. რამპოლასა და სერაფინო ვანუტელისაც ბევრი მომხრეები ჰყავთ. ვანუტელის მომეტებულ ნაწილად უცხოელ კარდინალების იმედი აქვს: ამის სასარგებლოდ ყველაზე მეტად ცდილობენ კარდინალები კოპი, ჰიბონსი და რიშარი; თუმცა რიშარი ფრანგია, მაგრამ მედგრად ეწინააღმდეგება რამპოლას. ამ უმთავრეს კანდიდატებს გარდა, ყოველ დღე სხვა-და-სხვა ახალ-ახალ კანდიდატებსაც დაასახელებენ ხოლმე.

◆ „ნიუ იორკ ჰერალდ“-ს სწერენ რომიდან: ბრძოლა უმთავრეს კანდიდატებ შუა თან-და-თან ძლიერდებაო. უკანასკნელ დღეებში ყველანი მკაცრად ჰკიცხავენ კარდინალ ვანჩენცო ვანუტელის: ამ კარდინალს ყველა უცხოელ კარდინალებისათვის მიუწერია, ჩემი ძმა სერაფინო აარჩიეთო. მიწერასაც როდი დასჯერებია: საგანგებო აგენტები მიუგზავნია ყველასთან და აუხსნია, თუ ჩემ ძმას აირჩევთ, დიდ ხეირს შეეყრებითო; ზოგიერთ კარდინალს უმაღლეს და უკეთეს ადგილების მიცემასაც კი დაჰპირდა თურმე. რამპოლას წინააღმდეგაც უსახელო ბროშიურა გამოუციათ და ყველა კარდინალებისათვის დაურიგებიათ. სერაფინო ვანუტელის წინააღმდეგაც გამოუციათ ბროშიურა; ბროშიურის ავტორი ამტკიცებს, ვანუტელიმ თავისი ქონება სხვა-და-სხვა არა წმინდა ხერხით შეიძინაო. შეუძლებელია რიგზე აიწეროს ყველა ის ხერხი, რასაც კარდინალები თავიანთ მეტოქეების დასამარცხებლად ხმარობენ.

◆ რომიდან იწერებიან: „განსვენებულ პაპს ძეგლის დადგმას უპირებენ. ძეგლს პაპის სამშობლო ქალაქ კარპინეტოში დადგამენ; ძეგლის პროექტი იტალიელმა მხატვარმა ბიონტიმ შეადგინა. იტალიის ქალაქებში ბევრგან ხელის მოწერა გამართეს და ამ ძეგლისათვის საჭირო ფულს ჰკრებენ.

იტალიაში ყველგან ტოტალიზატორები გამართეს და სანაძლევოებსა სდებენ იმაზე, თუ ვის აირჩევენ პაპად. რომში აუტანელი სიცხეა. რამდენმამე შორიდან მოსულმა კარდინალმა აქაური სიცხე ვერ აიტანა და ავად გახდა. არჩევანის ვადის შემოკლებას აპირებენ. ახლად არჩეულ პაპის გვირგვინის კურთხევა ან ეხლავე, არჩევის შემდეგ, მოხდება, ან არა და შემოდგომამდე გადასდებენ. რამპოლას კანდიდატურას საფრანგეთი უჭერს მხარსა.

სერბია. სათემო არჩევნები მოხდა. არჩევნებში რადიკალებმა გაიმარჯვეს: 1000 თემში რადიკალების კანდიდატი აირჩიეს; 200 თემში ლიბერალებს ერგოთ და 200-ში ხელახლად უნდა მოხდეს არჩევანი. მთავრობას თავისი კანდიდატები არსად არ დაუსახელებია; ადმინისტრაციაც არჩევანში არსად გარეულა.

მაკედონია. ამ ბოლოს დროს მეტად არეული ამბები მოდის მაკედონიიდან. ზოგი ირწმუნება, მაკედონია მთლად დამშვიდდაო, ზოგი, პირიქით, ამტკიცებს, მაკედონიაში მალე უფრო ძლიერი აჯანყება დაიწყებაო. „კორეს. ბიურო“-ს ამას წინად სოფიიდან დეპეშით ატყობინებდნენ, მაკედონიაში მშვიდობიანობა დამყარდაო. ამ დეპეშაში ეწერა, ვითომ მაკედონელ ბოლგართა კომიტეტებისა და „შინაგან ორგანიზაციის“ მეთაურებს დაედგინოთ, ამას იქით კომიტეტებმა ორგანიზაციას ახალი რაზმები აღარ უნდა გამოუგზავნოს, მარტო საჭმელ-სასმელი და სამხედრო სურსათი მიაწოდოსო. ორგანიზაციამ გადასწყვიტა ჯერ ოსმალეთის რეფორმებს მოუცადოს და თუ ეს რეფორმები კარგს ნაყოფს არ მოიტანენ, მაშინ ისევ მედგარი ბრძოლა აუტეხოს ოსმალებსაო. „ტან“-ის კორესპონდენტი სწერს: ეს ცნობები სწორე არააო. ეხლა შინაგანი ორგანიზაცია აღარ არსებობს, იმის ბადლად სამხედრო რაზმებია დაწესებული; ეს ცვლილება იმის ნიშანია, რომ მალე საყოველთაო აჯანყება დაიწყება. ამისთანა სამხედრო რაზმი შვიდია. ესენი სხვა-და-სხვა ადგილას დგანან და ყველას თავ-თავისი უფროსი ჰყავსო.

„ტან“-ის სალონიკელი კორესპონდენტიც ამნაირსავე ცნობებს იწერება: „ეხლა მკა გათავდა და, როგორც ეტყობა, ბოლგართ რაზმებს კიდევ სწადიანთ საყოველთაო აჯანყება. მაგრამ, არა მგონია, რომ ბოლგარებმა თავიანთი საწადელი აასრულონ; უმთავრესი სარდლები მომეტებულ ნაწილად დაიხოცნენ და ამას გარდა ოსმალებმა ორის თვის განმავლობაში აჯანყებულ ხალხს დიდძალი იარაღი და სამხედრო სურსათი წაართვეს. ამ ბოლოს დროს ოსმალეთის უმაღლესი მოხელეები უფრო ლმობიერად ექცევიან ბოლგარებს. რა არის ამის მიზეზი, არ იციან. იქმნება თითონ ხონთქარისაგან მოუვიდათ ასეთი ბრძანება, ან იქმნება სარდალ ხილმი-ფაშას იმედი ჰქონდეს, რომ ამნაირი ქცევა უფრო მალე დაამშვიდებს მაკედონიას, ვიდრე სასტიკობაო. მებრძოლ რაზმებს ოსმალეთის მოხელეებმა შეუთვალეს, ყველაფერს გაპატიებთ, თუ იარაღს დაჰყრით და მთავრობას დაემორჩილებითო. მაგრამ ამ ტკბილმა სიტყვებმა არ გასჭრა; ძლიერ ცოტანი დაემორჩილნენ ოსმალეთის მთავრობას.“

ახალი ამბავი

◆ „ჩერნ. ვესტ." სწერს: „ამ დღეებში ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა რამდენჯერმე შემოუარა ქალაქს და დაათვალიერა უბნები".

◆ იგივე გაზეთი სწერს: „პოლიციამ შეიპყრო შორაპნის მაზრის სოფელ საზანოს მცხოვრები ისიდორე ოქროპირის ძე ჩუბინიძე, რომელიც 17 ივლისს, საღამოს 11 საათზე თავისს ამხანაგთან ერთად სცდილობდა **რკინის გზაზე უბედურების მოხდენას**; ამისთვის რელსებზე მორგვი დაეგდოთ".

◆ 18 ივლისს ქუთაისის **ოლქის ბრძანებელი** ბ-ნი ბელიავსკი ქუთაისიდან ბათუმს ჩავიდა.

◆ გაზეთ „ჩერნ. ვესტ.", როგორც თვით აცხადებს, 18 და 19 ივლისს არ გამოსულა „რედაქციისა და სტამბისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო".

◆ რადგან ტფილისსა და ბათუმ-ფოთს შუა მატარებლები **ნაკლებად დადიან**, დიდძალი საქონელი შეგროვებულა ბათუმისა და ფოთის სადგურებზე.

◆ როგორც გვატყობინებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-95 ვერსზე, ბათუმსა და ჩაქვს შუა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ **ლიანდაგი გაუფუჭებიათ**, მაგრამ მატარებლიდან შეუნიშნავთ და გზა შეუსწორებიათ.

◆ გუშინ-წინ დილის მატარებლით ტფილისიდან სამსახურის საქმეებისა გამო **პეტერბურგს წავიდა** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე.

◆ ამას წინად ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთ, 13 კომლს სახელმწიფო გლეხს, თათრებს, უთხოვნიათ მთავარ-მართებლისათვის, ტფილისის გუბერნიასა ან ზაქათალის ოლქში **სამხოვრებლად მოგვეცით სახაზინო მიწაო**. ეს თხოვნა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისათვის გადაუციათ. გუშინ-წინ ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მიწების გამგეობამ შეატყობინა რწმუნებულს, რომ აღნიშნულ მთხოვნელთათვის არც ტფილისის გუბერნიასა და არც ზაქათალის ოლქში თავისუფალი ადგილი არ მოიპოვებაო.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის ნებართვით, შემწეობა აღმოეჩინათ **რუსის სოფლებს** ჯევათის მაზრაში: ალექსანდროვს და ნიკოლაევს. ამ ორ სოფელში 72 კომლია. მიეცათ 10,167 მანეთი სახლ-კარის მოსაწყობად, სამეურნეო იარაღის შესაძენად და კერძო ვალების გასასტუმრებლად.

◆ ახალ-ქალაქის მაზრაში, როგორც ადგილობრივ ექიმის მოხსენებიდანა სჩანს, ერთ ოჯახში **კეთროვანებით ავადმყოფობა გაჩენილა**. ამ ავადმყოფობის გამო ახალ-ქალაქის მაზრაში წავიდნენ საგუბერნიო ექიმი ტ. ქიქოძე და მისი თანაშემწე რ. დ. მაჰავარიანი.

◆ **კავკასიის საბრეშუმო სადგური** სავარაუდო აღრიცხვით 1904 წელს 8693 მანეთით ნაკლებს მოელის, ვიდრე მიმდინარე წელსა ჰქონდა, ე. ი. 14,693 მანეთის ნაცვლად შემოუვა მხოლოდ 6000 მან. მიწათ-მოქმედების სამინისტრო შეეკითხა საბრეშუმო სადგურის გამგეს, შეეტყობინებინა, რა არის მიზეზი შემოსავლის ასე შემცირებისა. სადგურის გამგემ აცნობა, უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ აბრეშუმის თესლის ვაჭარნი სადგურს შესამოწმებლად თესლს არ უგზავნიან; დღევანდლამდე არ არის განხორციელებული უკვე აღძრული წინადადება, რომ გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც უნდა დაწესდეს კონტროლი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ აბრეშუმის თესლსა და იმის ვაჭრობაზე. წელს, გამგის აზრით, გრენის ნაკლებობით უსარგებლნიათ თესლის ვაჭრებს, დიდძალი უვარგისი თესლი უყიდნიათ და გაუსაღებიათ. შემოსავლის სიმცირის მიზეზად იმასაც ასახელებს გამგე, რომ სადგურს არა აქვს საწარმოო თანხა.

◆ როგორც „პრავ. ვესტ."-შია გამოცხადებული, **ამიერ-კავკასიის რკინის გზას** სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის უნდა მიეზომოს მიწა ქუთაისისა, სენაკისა და შორაპნის მაზრებში—4 დეს. 1606 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისისა და გორის მაზრებში—2 დეს. 1770 ოთხ-კუთხი საჟენი და ბათუმის ოლქში—18 დეს. 2002 ოთხ-კუთხი საჟენი.

◆ **სოჭის ოლქის სოფელ ლაზარევსკაში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველი კასსა.**

◆ **რიონის სადგურიდან გვწერენ: 19 ივლისს რიონის მახლობლად გაძარცვეს მეღვინე მაქსიძე კოსტა. დილის 10 საათზე კოსტას დახვდა ოთხი კაცი, წაართვა ფულად 150 მანეთი და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. შემდეგ ყაჩაღნი ონანოვების ტყეში მიიმალნენ. კოსტას თან მისდევდნენ ნოქრები, სამი კაცი.**

◆ **ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ქალაქის მიწის იჯარადრის ნიკო ნხეიძისა. ნხეიძეს საიჯარო ადგილში აგურხანა აქვს. ეხლა ამ ადგილის გარშემო ჯარს სასროლი ნიშნები უდგია და ყოველ დღე ვარჯიშობს. ამიტომ ნხეიძე აცხადებს, საიჯარო ფული დამიბრუნეთ, რადგან ამ მიწაზე მუშაობა შეუძლებელიაო. გამგეობამ დაადგინა, გამოიკვლიოს ქალაქის წიგნებში და გაიგოს, ჯარს აქვს თუ არა უფლება ამ ადგილებში თოფის სროლისა, და შემდეგ ამ საქმეს ჯეროვანი მიმართულება მისცეს.**

◆ **ამას წინად კრება ჰქონდა ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს სხვა და სხვა პირთა თხოვნების განხილვა მოქალაქედ ჩარიცხვის შესახებ. კომისიამ ასეთი თხოვნა განიხილა ოცამდე და ოცივე დააკმაყოფილა.**

◆ **გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განსახილველად წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის საბჭოს დადგენილებანი, რომლის თანახმადაც უნდა გადაისინჯოს ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო წესდება, შეუდგნენ ზრუნვას მუხრანის ხიდის ასაგებად და სხვა.**

რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. ჩერნიგოვის საბჭომ განიხილა ვაჭრებისა და ნოქრების შუამდგომლობა სავაჭრო დროის შემოკლების შესახებ. როგორც ვაჭრები, აგრეთვე ნოქრები თხოულობენ, ქალაქის მმართველობამ აღძრას შუამდგომლობა, რათა მიეცეს მას უფლება დამოუკიდებლად გამოსცეს დადგენილებანი სავაჭრო დროის განწესრიგების შესახებ.

◆ რუსეთის მთავრობას განუზრახავს გუბერნატორების უფლების გაძლიერება. აზრადა აქვთ, თანამდებობის უფრო მაღალი ხარისხი მიანიჭონ მათ და უფლება მისცენ, თავად აირჩიონ თავისი უახლოესი ამხანაგები—ვიცე-გუბერნატორები.

◆ ქ. სარატოვში მეეტლეებს, მედროგეებს, საქონლის მატარებელთა დამტვირთველებს და დღიურ მუშებს საურთიერთო დახმარების საზოგადოების დაარსება განუზრახავთ. აზრადა აქვთ, გახსნან მაღაზიები ქერის გასასყიდლად, გამართონ იაფ-ფასიანი სადგომები, სახელოსნოები, საავადმყოფოები, სკოლები, თავშესაფარნი და სხვ.

◆ ამას წინად რუსეთის ერთ სოფელში ერთი გლეხი სატუსაღოში ჩასვეს. მისი დანაშაული ის იყო, რომ მან გულ-უბრყვილოდ ხელი გაუწოდა უფროსს მოხელეს. გაზ. „ბირჟ. ვედ." აღნიშნა ეს ფაქტი და მოგვითხრო ერთი ამბავი განსვენებულ ლიფლანდიის გუბერნატორ ზინოვიევის ცხოვრებიდან. ზინოვიევს, კუნძული ეზელი რომ დაუვლია სარევიზიოდ, ერთი სასოფლო სამმართველოც გაუშინჯავს, აღმოუჩენია, რომ საქმე კარგად მიჰყავდა იქაურ მამასახლისს და მადლობა გამოუცხადებია მისთვის. წასვლის ხანს გუბერნატორი რომ ეთხოვებოდა მკვიდრთ, მამასახლისი წამომდგარა წინ, ხელი გაუწოდებია გუბერნატორისთვის და უთქვამს: „მშვიდობით, ნახვამდისო". გუბერნატორს ღიმილით მიუცია ხელი მამასახლისისათვის და გამომშვიდობებია.

◆ ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ნოვ. ვრემია"-ს, რომ სოფ. ბრახლოვში საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილა და ხუთის წამის განმავლობაში დაუნგრევია მთელი სოფელი: 70 გლეხის სახლი, ეკლესია და ერთი მემამულის დიდი სახლი. ქარიშხალს მრავალი ხეები ამოუგლეჯია ძირიანად. სოფელი სამწუხარო სურათს წარმოადგენს. 5 კაცი მოუკლავს ამ ქარიშხალს და 20 კაცი მძიმედაა დაშავებული.

პრესსა

რუსეთის ცნობილმა მეცნიერმა-ეკონომისტმა რადციგმა გამოსცა თავისი საყურადღებო გამოკვლევა რუსეთში არსებულ პროტექციონიზმის, მრეწველობის მფარველობის შესახებ. ავტორის თხზულებაში მკაფიოდ არის გატარებული ის აზრი, თუ რა მძიმე ტვირთად აწევს რუსეთის მკვიდრთ ეს პროტექციონიზმი.

ფინანსთა სამინისტრომ უნდა ხელი აიღოს ამ პროტექციონიზმზეო, ამბობს იგი, უნდა მოსპოს მაღალი გარდასახადი სხვა-და-სხვა ნივთებზე, რომელიც ყველაზე უფრო ღარიბ მკვიდრთ ხვდება და სიცოცხლეს უმწარებს. მაგალითად, უნდა მოისპოს ხაზინის დახმარება შაქრის წარმოებისათვის. უნდა მოისპოს შაქრის გარდასახადი; მაშინ გირვანქა შაქარი 10 კაპ. გახდება, მესამედი ფასი დააკლდება. ხალხი, რომელიც დღეს იძულებულია სხვა-და-სხვა საჭირო ნივთებზე მრეწველობის მფარველობით შექმნილი გარდასახადი იხადოს, ამ გარდასახადის მოსპობის შემდეგ წელში გაიმართება, უფრო ადვილად ამოისუნთქავს, მეტი შეძლება მიეცემა მხარი მისცეს შინაურ მრეწველობას, რადგან ძალ-ღონეს შემოიკრებს იმდენად, რომ შინაურ მრეწველობის მსყიდველი, მომხმარებელი გახდეს. დღეს კი გარდასახადის ყოველი გროში მეტ ტვირთად აწევს ისედაც ტვირთ-მძიმე ხალხს და ფეხ-ქვეშ ნიადაგს აცლის, უძლურად ჰქმნის მას.

გარდასახადის მოსპობა საშუალებას მისცემს ერობას, მეტი ხარჯი გამოიღოს ხალხის განათლებისათვის, რაიცა განამტკიცებს ხალხის თვითმოქმედებას, ეკონომიურად და ზნეობრივად აამაღლებს მას.

გაძლიერებული დაცვა რუსეთის მრეწველობისა, მაღალი არა პირდაპირი გარდასახადი, 1887 წლიდან შემოღებული, არც ხალხისათვის, არც ქონების პატრონებისათვის სასარგებლო არ გამოდგა. თვით ქარხნის პატრონებიც სჩივიან, რომ ძალ-ღონე გამოლეულ ხალხს სყიდვის სახსარი არა აქვს, არ შეუძლიან ქარხნის ნაწარმოებთა მომხმარებლად გახდეს. დროა მიექცეს ყურადღება რუსეთის მკვიდრთა უმრავლესობას, 90%-ს მთელის რუსეთის ხალხისას, რომელიც მიწით ცოცხლობს, ქვეყანას კვებავს და თან-და-თან უძლურდება და იღუპება უვიცობის მორევში. ამ ხალხის სარგებლობას, მის კეთილ-დღეობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს და ყველაზე უფრო საგულისხმიერო უნდა იყოს ჩვენთვის.

დღეს სხვა-და-სხვა გარდასახადებით დატვირთული გლეხობა იძულებულია გროშის ფასად გაჰყიდოს თავისი ცხოვრების სახსარი, პური, ქირნახული, ამ გარდასახადის გასასტუმრებლად, და განა დრო არ არის ვიფიქროთ იმაზე, რომ რამენაირათ შევუმსუბუქოთ მას ეს აუტანელი ტვირთი?

დღეს გარდასახადისაგან შეგროვილ ფულით ისეთი რკინის გზებიც კეთდება, რომელთა სარგებლობა საეჭვოა, რომელნიც კეთილ-დღეობას ვერ შესძენენ ხალხს, ვერ განკურნავენ მას, როგორც ვერ განკურნავს სნეულ ადამიანს, მისივე ხორცის ანაგლეჯი რომ მალამოდ დაადოთ სხეულზე.

⁂

„კიევის გაზეთში" საინტერესო ცნობებია მოყვანილი ციმბირში ნამგზავრ ი. ლ. იქსის თხზულებიდან იმის შესახებ, თუ რა მძულვარება და უკმაყოფილება გამოიწვია ციმბირის მკვიდრთა შორის იმ ამბავმა, რომ ამ მოკლე ხანში თავად-აზნაურობა, ბატონები უნდა დამკვიდრონ ციმბირში და ადგილ-მამულს აძლევენო. როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, აგრეთვე მოახალშენენი ერთობ უსიამოვნოდ დაუხვდნენ ამ ამბავს. ციმბირის მკვიდრი ბატონებს ჩვეული არ არის, თავის დღეში არ უნახავს მემამულენი. თვით სიტყვა „ბატონი" გაუგებარია მათთვის. ბატონებს ისინი მხოლოდ მოხელეებს, „ჩინოვნიკებს" უძახიან და ამ მოხელეებსაც იჭვის თვალით უყურებენ, ეჯავრებათ ისინი. მაგალითად, ციმბირში მოხელეებს ჭაკი ცხენი ეთაკილებათ. სასტიკად აუკრძალეს გლეხებს მოხელეთა ეტლში ჭაკი ცხენების შებმა, იაბო ცხენები უნდა შეაბან, რომ არ შეულახონ მოხელეთა ღირსება.

ციმბირის მკვიდრნი მოახალშენეთაც არ უყურებენ მეგობრულის თვალით და როცა გაიგეს ამ მოკლე ხანში, ბატონებიც გადმოსახლდებიან ციმბირშიო, მწარე საყვედურს ეუბნებიან მოახალშენეთ: ის არ იკმა-

---

ფელეტონი

იურიეველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

იურიევის ქართველი სტუდენტობა.—მათი საერთო სიღარიბე.—ქართული საღამოები.—საღამოების მაგიერ რას უნდა მივმართოთ.—პოპულიარული წიგნების საჭიროება და სტუდენტების ძალი ამ საქმეში.—როგორ შეუძლიანთ სტუდენტებმა თავიანთ სიღარიბეს უშველონ.—ვის უნდა ეძლეოდეს სტიპენდიები.

ფრიად სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ, რაც დრო გადის, მით უფრო თვალსაჩინოდ მრავლდება ქართველ სტუდენტების რიცხვი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. სხვა ქალაქებისა რა მოგახსენოთ და იურიევმა კი ამ მხრივ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ. თუ ამ 4—5 წლის წინად ორი-სამი ქართველი სტუდენტი ძლივს მოიპოვებოდა აქ, ამ ჟამად იმათი რიცხვი 60 კაცს აღემატება. რასაკვირველია, ეს განსაკუთრებულ გარემოებითაც აიხსნება, მაგრამ მაინც ასეთი დიდი რიცხვი ქართველებისთვის სწორედ რომ სანუგეშო მოვლენაა.

ეს ამოდენა ქართველობა თითქმის სულ ღარიბ-ღატაკებისაგან შესდგება. რომ გადაავლოთ თვალი აქაურს ქართველს სტუდენტობას, ერთს ვერ ჰნახავთ, რომ ჯეროვანად დაკმაყოფილებული იყოს სახლიდან—ყველა შეუძლებელია, ღარიბ-ღატაკი. აქ, იურიევში თითქოს განგებ მოუყრიათ იმათ თავი, რომ თავიანთ სიღარიბე-სიღატაკით ერთმანეთს არ ჩამორჩნენ. ნივთიერ სიღარიბეს ისინი ვერ შეუშინებია და სწავლის სურვილს, მეცნიერებით შეჭურვის სურვილს ყველაფერი დაუვიწყებია. მაგრამ ამ თავგამოდებულთ ბევრს ნახავთ, რომ სახლიდან გამოყოლილი ფული ორი-სამი თვეც ვერა ჰყოფნით ხოლმე და ბოლოს, არაქათ გამოლეულნი და ყოველსავე სახსარს მოკლებულნი, იძულებულნი ხდებიან უკანვე დაბრუნდნენ და გამოესალმონ თავიანთს მისწრაფებას.

აი, სწორედ ეს უკიდურესი მდგომარეობა აიძულებთ ხოლმე ქართველ სტუდენტებს საღამოების გამართვას. მაგრამ შველის რასმე სტუდენტებს საღამოები? მოგეხსენებათ, რომ იურიევშიაც, თუმცა იშვიათად, იმართება ქართული საღამოები. ყოველ ასეთს საღამოს მრავალი შრომა და ხარჯი სჭირდება ხოლმე, რამდენიმე კვირა და ზოგჯერ თვეც უნდება ამ საღამოების გამართვას, რისთვისაც ამ დროს განმავლობაში 7—8 სტუდენტი კერძოდ ამისთვის არის ხოლმე გადამდგარი. ფულიც არა ნაკლები სჭირდება ამ საღამოებს, თუ გავიხსენებთ იმას, რომ რაღაც უბედურ ჩვეულებისა გამო მიღებულია, ქართული საღამოები უსათუოდ მდიდრულად გაიმართოს, უსათუოდ ყველას ყურადღებას იზიდავდეს (იმ დროს, როცა სხვა სტუდენტებს ამის ნახევარი ხარჯი არ მოსდით ხოლმე), რასაც, რასაკვირველია, არა სასურველი შედეგი მოსდევს. არც ერთ გამართულ საღამოდან ქართველ სტუდენტებს მოგება არ დარჩენიათ, პირიქით, ზარალისა და ვალის მეტი არა უნახავთ-რა.

არ ვიცი, რისთვის იმართება ეს საღამოები, თუ უპირველეს მიზანს—ნივთიერ დახმარებას—ვერ აღწევს. ნუ თუ იმისთვის, რომ შემდეგში საქართველოში ვალების გასასტუმრებლად ფულის გროვება დავიწყოთ კიეველ სტუდენტებსავით, ან კიდევ ერთი აურ-ზაური და პოლემიკა ავტეხოთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, როგორც იურიევის პირველ საღამოს მოჰყვა?!

მაშ რა ჰქნას, როგორ უშველოს თავისს გაჭირვებულ მდგომარეობას სტუდენტობამ?

შორის არ წავალ და დავასახელებ ფრიად სიმპატიურ საქმეს ადესელ სტუდენტებისას ე. ი. წიგნებისა და სურათების გამოცემას. ყველამ კარგად იცის, რამდენად გავრცელ და ეს სურათები. ჩემის მხრივ დავძენ, რო ყველა ამას ემჯობინება პოპილიარული ყველასათვის გასაგებ ენით დაწერილი სამეცნიერო წიგნაკები. ამ საქმეში უნდა გამოიჩინოს ჩვენმა სტუდენტობამ თავისი ძალ და ღონე. განა არ შეუძლიან იმას, ვინ ბუნების მეტყველებას ან იურისპრუდენციას სწავლობს, რომ ხალხისათვის გასაგე ენით გადმოგვცეს საინტერესო მოვლენა თავისს საგნებიდან! მე ვამბობ, რომ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს სტუდენტებისას, ამით, ჯერ ერთი, დიდს სამსახურ გაუწევენ სამშობლო ლიტერატურას დ მეორე კიდევ—აღებულ ფულით ნივთიერ დახმარებას თავის ამხანაგებს. ასეთს წიგნებ რომ გასავალი აქვს ჩვენში, გავიხსენოთ გინდ რუბაკინის „საოცარი მოვლენანი ბუნებისა", რომელიც მოკლე ხანში რამდენსამე გამოცემად გამოვიდა, ან კიდევ გ. წერეთლის „ს უკეთესო ცოდნა" და სხვა. რასაკვირველი ყველა ამას დიდი შრომა და დრო უნდ მაგრამ ეს შრომა უფრო ნაყოფიერი დ

რეთ, რომ თქვენი მოსვლით შევავიწროვეთ, ახლა თქვენი ბატონებიც უნდა მოათრიოთ და დაგვასვათ თავზეო?

საწყალი მოახალშენენი აქ არაფერ შუაში არ არიან, მათთვინაც სამწუხაროა ეს ამბავი. ბატონებს გავექეცით და, ჩვენდა საუბედუროდ, უკან გამოგვიდგნენო, ამბობენ ისინი. რა გიჭირთ, ადგილი ბევრია აქაო, ეუბნებიან იმათ. რუსეთშიაც ბევრია ადგილიო, მაგრამ სხვებისთვის, ჩვენთვის-კი ცოტააო, ამბობენ გლეხები. არაფერი ხეირი დაგვეყრება, მებატონეები რომ ჩვენს გვერდით სასახლეებს გამოსჭიმავენო.

ბ-ნ იქსს ციმბირის სოფლის მოხელეებთან ჰქონია ამის შესახებ ლაპარაკი. როგორ უყურებ მებატონეების გადმოსახლებასო?—დაეკითხა იგი ერთ მათგანს. აქ თუ გაჩნდნენ, მთავრობას ვსთხოვ, სხვა ადგილზე გადამიყვანონ, თუ არა და სამსახურს თავს დავანებებო. აირევა აქაურობა, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს, ბატონების სურვილის დაკმაყოფილებას ვერ ავუთავდებით, ერთ დავიდარაბას ასტეხენ, გლეხების საქონელს აღარ გაატარებენ აქ, შეავიწროებენ წანახედის გარდახდით და კიდევ სხვა-და-სხვანაირი საშუალებითო.

წერილი ლეჩხუმიდან

ქურდობა.—აქაური კაკარდოსნები.—ახალი განკარგულება.

25 ივნისს, ღამის 12 საათზე, თავს დაესხნენ ავაზაკები საველგანო ტყეში დასახლებულ გლეხს გ. ბახსოლიანს. წაიღეს 90 მ. და ნივთები. საქმის გარემოება გამოიძია პოლიციის ბოქაულმა. ეჭვი მიიტანეს სამ კაცზე.

ამ რამდენისამე დღის წინად სოფ. ცაგერს ჩხუბი მოსვლიათ აზნ. ჯ. ნ.—ს და გლეხებს გ. და ს. ლეფსწვერიძეებს. ლეფსწვერიძე დაიჭირა სტრაჟნიკმა. ამ დროს ამ ალიაქოთს წააწყდა სამი თუ ოთხი კაკარდოსანი, რომელთაც ეს სასჯელი არა სცნეს საკმაოდ და თითო სილა უთავაზეს დაჭერილ ლეფსწვერიძეს. ამბობენ, ეს სილები იმის ნიშანი იყო, რომ იმათ, ნაცნობს აზნაურს გლეხმა როგორ გაუბედა დარტყმისთვის დარტყმითვე სამაგიეროს გადახდაო.

ლეჩხუმში ტირილის შესახებ ახალი განკარგულებაა: სამღვდელოება ამბობს, „ნება არა გვაქვს წინანდელის წესით მიცვალებულთან მოვიქცეთო", ე. ი. მიცვალებულს ვერ დაადგება იგი შემოსილი, თუ ან პანაშვიდი არ არის ან წესის აგება. მეორე: ზარიც აკრძალულია თითქმის. ლეჩხუმში ბევრია დაკეტილი ეკლესია, ზოგი იმისთვის, რომ ხისაა, ზოგიც იმისთვის, რომ პატარაა. მღვდელი მხოლოდ აზიარებს და ბავშვებს ჰნათლავს.

ყველა ამის გამო ბევრგან შეუდგნენ ეკლესიების შენებას.

ლაჯანელი ბანოვანი.

დაბა-სოფლები

ბახმარო (გურია). ბახმარო ჰქვიან აჭარა-გურიის მთების ერთ ნაწილს. დადგება თუ არა ზაფხულის სიცხე-პაპანაქება, გურული აიკიდებს გუდა-ნაბადს და მიდის ბახმაროზე, რათა ჩაჰყლაპოს სუფთა ჰაერი. ამ ოცის წლის წინად ვინ იფიქრებდა, თუ ის მთა-გრეხილი, რომელიც აჭარა-გურიის საზღვარზეა წამოწოლილი და თავისის კლდე-ღრეებით შიშსა ჰგვრის ადამიანს, ერთ საუკეთესო სააგარაკო ადგილად გამოდგებოდა. ასში ერთხელ მწყემსი გურული, ან აჭარელი თუ გაჭრებოდა ამ მთებში ზაფხულობით ნახირს, როცა ბარში საბალახო შემოაკლდებოდა, თორემ სხვა არავინ ეწვეოდა. აწ განსვენებული ექიმი ლაგოდიანცი ამ ათის წლის წინად გაემგზავრა ამ მთებში, რათა გამოეკვლია აქაური ჰავა. მოიარა მთელი მთა და აარჩია ბახმარო. მას შემდეგ იწყეს ზაფხულობით ბახმაროზე სიარული, გაშენდა 150-დე გურულ „ოდის" მსგავსი სახლი და დღეს ბახმარო ერთ საუკეთესო სააგარაკო ადგილად მიაჩნიათ მთელს ქუთაისის გუბერნიაში. აქ ბევრი მოდის ზაფხულობით ტფილისიდან და სხვა შორეულ ქალაქებიდანაც. მოაგარაკეთა რიცხვი ყოველ-წლობით მატულობს: შენდება ახალი სახლები და მოსალოდნელია, რომ ადრე მომავალში ბახმარო მთავრობის მიერ დამტკიცდება სააგარაკო ადგილად და მაშინ იმისი მნიშვნელობაც გაორკეცდება, რადგან ბახმარო ძლიერ მაღალია, აქაური ჰავა, მეტის სიოხის გამო, აუტანელი ხდება ფილტვებით ავადმყოფებისთვის, ხოლო ციებ-ცხელებას შესამჩნევად შველის. ამოვა თუ არა ბახმაროზე ციებისაგან ჩამომდნარ-ჩამომხმარი ავადმყოფი, ერთის კვირის განმავლობაში ლოყები ვარდისფრად ეღებება და ერთის თვის აქ ყოფნის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი ბრუნდება სახლში. არც ბახმაროს ბუნება ჩამორჩება ჰავას. ბახმარო ისე შეუმკია ბუნებას, რომ თვით გურული, რომელსაც შეჩვევის გამო აბნეული აქვს თვალები, აღტაცებაში მოდის აქაურ ბუნების სილამაზისაგან. ბახმარო წარმოადგენს ხშირის წყაროებით და მწვანით დაფენილს პატარა ხეობას. ხეობა ყოველ-მხრივ შემოზღუდულია მაღალ ქედ-გორაკებით; ქედ-გორაკების კალთები-კი შემოსილია ხშირის ნაძვ-ფიჭვნარით. ხეობის შუა ადგილას გამოჩქეფს ეგრედ-წოდებული „ბახმაროს" წყალი, რომელიც ისეთის სისწრაფით გადატის ქვიდან ქვაზე, რომ გულის ამაჩქროლებელ ძილის პირს მოგაგონებს. ბახმაროს მნიშვნელობა კარგად შეიგნეს გურულებმა და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ერთის კვირით მაინც „აირბინონ" ბახმაროზე. ძლიერ უწყობს იმათ ხელს ცხოვრების სიიაფე. იშოვება ყოველნაირი სანოვაგე. ხორცი გირვანქა იყიდება 9 კაპ., რძე ბოთლი ორი შაური, ყველი—მეგრული გადაზელილი—8 მანეთად, ანუ გირვანქა 12 კაპ., კარაქი—გირვანქა ხუთი შაური და სხვა. ამას გარდა ბახმაროს აქვს რესტორანი. ცხოვრების სიიაფის გამო ბახმაროს აწყდება უფრო ღარიბი მოაგარაკენი, რომელთაც უსახსრობით არ ძალუძთ სხვაგან წასვლა. მდიდარი კი იშვიათად ეწვევა ბახმაროს; აქ არ არის ის გასართობები, ურომლისოდაც მდიდრის ცხოვრება აუტანელი ხდება. ერთად ერთს გასართობს ბახმაროელებისას შეადგენს კეგლი. დილიდან საღამომდე არის ხალხი მოგროვილი კეგლის მახლობლად და შარების რახა-რუხს ყურთა სმენა მიაქვს. კეგლზე თამაში ხელ საყრელად მიაჩნიათ ბახმაროელებს, რადგან ძლიერ ავარჯიშებს მკლავებს და ჯიბისთვისაც დიდი ვნება არ მოაქვს. ბახმაროელებს აქვთ ეგრედ წოდებული „საზოგადო სახლი", სადაც წლევანდლამდე სცენა და ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული; წელს კი, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ბახმაროელები პირველსაც და მეორესაც მოკლებულნი არიან. აქამდე ბახმაროზე ასვლა ძლიერ საშიში იყო ცუდის გზების გამო, ეხლა გზები შედარებით შეკეთებულია, ასე რომ ცხენს თავისუფლად შეუძლიან 7—8 ფუთის წაღება. ვინც ციებ-ცხელებით ავად არის, ვურჩევ მიჰმართოს ბახმაროს.

იასონ დონეშვილი.

პატარძეული (გარედ კახეთი). ამ ჟამად პატარძეულში გახურებულია კალოობაა. წელს ნაკლები მოსავალია პურისა. ჯერ ნამჯად არა მოსულ-არა და იმასაც გამოსავალი ნაკლები აქვს. მეტად კარგი პირი უჩანს ვენახს და კარგადაც გამოიტანს, რომ რაიმე ავადმყოფობა არ მოსდებოდა, რაც მეტად აწუხებს ვაზს. ვენახის ფოთოლს რაღაც სიყვითლე უჩნდება და ახმობს. შემდეგ მზე უდგება მტევანს, სწვავს და აფუჭებს. ამ სენს ძალიან რგებს წამლობა, მაგრამ ხალხს არ მოეპოვება შაბიამანი და გოგირდი. ასევე აფუჭებს ვენახებს სენი სოფ. საგარეჯოსა, ბერთუბანსა და გარეთ-კახეთის სხვა სოფლებში.

საზოგადოდ გარედ-კახეთი და კერძოდ-კი პატარძეული და იმისი მეზობელი ბერთუბანი მეტად შევიწროვებულია ავკაცობით. ხალხს თავისუფლად მინდორში ვერ გაუშვია ვერც ცხვარი, ვერც ძროხა და ვერც ცხენი, რადგან წინადვე დარწმუნებულია, რომ მოჰპარავენ. ჩვენს სოფელში იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელსაც ან ცხენი, ან ხარი და ძროხა და ან რაიმე ნივთი არა ჰქონდეს ბოროტ-მოქმედთაგან მოპარული. ასეთის ავკაცობით ხალხი გაბრაზებულია. საკმაოა, ვინმემ სთქვას, ესა და ეს არის დამნაშავეო, რომ ხალხმა ლუკმა-ლუკმა აქციოს. მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა 6 ივლისს მოახდინა ყრილობა განზრახულ ავკაცობის მოსასპობ საშუალებათა შესამუშავებლად. ყრილობას დაესწრო 400 კაცი. წარმოითქვა ბევრი სხვა-და-სხვა მოსაზრება. დასასრულ ყრილობამ შეადგინა ოქმი და დაადგა შემდეგს გზას ბოროტ-მოქმედებათა მოსასპობად: ამოირჩია 14 კაცი და თვითოეულს ჩაბარა თითო უბანი თვალ-ყურის სადევნებლად. თუ ვინიცობაა, რომელიმე მათგანი ქურდს მიაგნებს, ცამეტ თავის ამხანაგს შეატყობინებს, იმათთან ერთად დაასაბუთებს დანაშაულობას და შემდეგ საზოგადო ყრილობას წარუდგენს განსასჯელად. რადგან ხალხს ძალიან ეშინიან ქურდების გაცემისა, ყრილობამ დაადგინა: თუ ვინიცობაა ვინმეს გაცემულმა ქურდმა ზარალი მიაყენოს, ეს ზარალი სოფელმა უნდა უზღოსო. ყრილობაზე დაასახელეს ოცამდე ბოროტმოქმედი, შეადგინეს სია და ამორჩეული დეპუტატები შეუდგნენ გამოძიებას, რამდენად არიან ისინი დამნაშავენი.

6 ივლისის ყრილობაზე გამოირკვა კიდევ, რომ ერთს საწყალ ოჯახისათვის ქურდებს მოუპარავთ ძროხა, წაუყვანიათ, დაუკლავთ და შეუჭამიათ. რამდენიმე კაცმა დაიძახა, ამა და ამ სახლში ხორცი ვნახეთ საქონლისა და, ეჭვს გარეშეა, ამათ და ამათ უნდა მოეპარათო. მიჰვარდა ხალხი დასახელებულ პირთ დაუშინა კეტები და კინაღამ არ დახოცა. ყრილობის გაგრძელება მოხდა შემდეგ კვირას, 13 ივლისს. წინა კრებაზე ქურდების სიაში [illegible]—შვილი ვერ შეიტანეს, რადგან ხელ ჩასაჭიდებელი საბუთი არა ჰქონდათ-რა. ამ დღეს კი 14 კაცის გამოძიებით და ერთის მოწმის დასახელებით ნათლად გამოირკვა საქმე. ერთ [illegible]თან წაუყვანიათ ორი კაცი, [illegible]ბიძა-ძმის წული, მოუპარავთ ზემოდ აღნიშნული ძროხა და —შვილის სახლის მახლობლად დაუკლავთ. გატყავების დროს საქმის მოთავეს დანები დაუჩლუნგებია და —შვილი გამოუღვიძებია დანების სათლელად. —შვილი გაოცებულა: ამ ღამეში დანები რად გინდა, მაგას რაებს სჩადიხარო. იმას უპასუხნია: ჩუმად, კრინტი არ დასძრა, თორემ ამ კაცებს ვიმოწმებ, თქმს შეგიდგენ, რომ ეს ძროხა შენ მოგიპარავს, და პასუხის გებაში მიგცემო. მოწმეს შეჰშინებია და ხმა არ ამოუღია. ამ გარემოებამ საშინლად აალელვა ყრილობაზე შეკრებილი 300—400 კაცი. ხალხმა დაიგრგვინა: სცემეთ, მოჰკალით მამასახლისი, ეს ჩვენი მფარველობის ნაცვლად ჩვენის შემჭმელ ქურდების ამხანაგი ყოფილაო. გააფთრებულნი მისცვივდნენ მამასახლისს, რომელმაც ძლივს მოასწრო გაპარვა კანცელარიიდან და გაქცევა. ხალხი გამოუდგა, მაგრამ ვეღარ მოეწია. ხალხმა განაგრძო ყრილობა. კარგა ხანს ლაპარაკის შემდეგ გადასწყვიტეს ბოქაულთან სართიჭალაში წასვლა, და მართლაც დაიძრნენ კიდეც. ამ დროს სართიჭალის ბოქაულის ობოლენსკისთვის ვიღაცას შეუტყობინებია, რომ მთელი გარედ-კახეთი „აბუნტებულა" და აქეთ მოდის შეიარაღებულიო. ბოქაულს მოუყრია სართიჭალის გერმანელთა კოლონიისათვის თავი, შეუიარაღებია და „სტრაჟნიკებთან" ერთად წასულა „ბუნტოვშჩიკების" დასამშვიდებლად. მოპირდაპირენი შეჰხვედრიან ერთმანეთს და რომ ერთი აქაური კაცი არა ყოფილიყო იმ დროს იქ, სისხლის ღვრა მოხდებოდა. ამ კაცს აუხსნია ბოქაულისთვის ყველაფერი. შეკრებილთ უთხოვნიათ მამასახლისის გადაყენება. სამი-ოთხი საათის ცდის შემდეგ, რადგან ხალხი დაკმაყოფილდებოდა, ომნიბუსში ჩაუსვამთ 14 ამორჩეული კაცი და პირდაპირ ტფილისში მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერთან გაუგზავნიათ. თავ. ჯანდიერს მამასახლისი სამსახურიდან გადაუყენებია, იმის ნაცვლად მამასახლისის კანდიდატი დაუნიშნავს და საქმის გამოსარკვევად გამოძიებას შეუდგომიან. მამასახლისი წინად სამი წლიწადი ყოფილა მამასახლისად. ხალხს კი საეჭვოდ მიუღია და მეორედ აღარ ამოურჩევია, მაგრამ ადმინისტრაციას დაუნიშნავს იგი.

№-ძე

სოფ. ვარდისუბანი (კახეთი). გაზაფხულზე ამ სოფლის მიწები თელავში მდგომ ჯარის-კაცთ მიუზომეს სასროლად და სავარჯიშოდ. ამ ამბავმა თავის დროზე დიდი ლაპარაკი გამოიწვია სოფელში, რადგან სახნავ-სათესზე ძლიერ [illegible] გახდავან. ყველანი გაეშურნენ მოხელეებთან და უცხადებდნენ, რომ თუ სასროლად დაიდეს ეს მიწები, ამდენი და ამდენი ზარალი მოგვივაო. კანონის ძალით თურმე ზარალი უბრუნდებათ მცხოვრებთ; მაგრამ იმ ადგილებს თავი მიანებეს და თელავის რიყეში დაიწყეს სროლა. თუმცა ამით მთელი ის ადგილები სულ განთავისუფლდა, მაგრამ მაინც რიყე-სასროლის ახლო მდებარე ადგილებში მუშაობაში ხელი შეუშალეს. ზოგიერთმა მემამულემ მიჰმართა თხოვნით მაზრის უფროსს, რომ საშუალება მოგვეცით იმ ადგილებზე ყანის მომკა-წამოღებისაო. ეხლა ამის პასუხად გლეხთ გამოუცხადეს, რომ სროლა სწარმოებს მარტო 5 საათიდან 10 საათამდე, ასე რომ დანარჩენი დრო თქვენ ხელთ არის და იმუშავეთო.

ვან-ილი.

ს. ღები (რაჭა). ღებში ქერის მეტი თითქმის არაფერი მოდის. ქერია ღებელის ავლა-დიდება: იმას შესცქერის, შეჰხარის, იმას აძლევს თავისს ძალ-ღონესა და ბოლოს... ისიც იმდენი მოდის, რომ 5—6 თვეზე ძლივსღა ჰყოფნის, დანარჩენ თვეებში ღებელს სიმინდი წვალებითა და გაჭირვებით დაბა ონიდან ამოაქვს. ამოტანა სიმინდისა (ჩვენ მარტო საცხენოსნო გზა გვაქვს) ისეთი გასაჭირია, ნამეტნავად ზამთარში, რომ ღებელი ზოგჯერ შიმშილს არჩევს ხოლმე ამ დავიდარაბას.

ზამთარი აქ საშინელი დიდ თოვლიანია. ასე რომ ხშირად ზვავების გამო ჩვენი ერთად-ერთი გზა შეიკვრება ხოლმე და მაშინ ვართ ღებელები გამომწყვდეულნი. წარსულს ზამთარს გზა შეიკრა ერთი კვირით, რის გამო ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: კინაღამ ამოწყდა შიმშილით.

ერთად-ერთი შემოსავლიანი წყარო ღებელებისა გაზრდაა საქონლით. საქონელს ყიდულობენ თერგისა და უბანის ოლქებში, დიდის გაჭირვებით გადმორეკავთ კავკასიონის მთებზე და ჰყიდიან.

ღებელებს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა აქვთ, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას. ყოველ წლიწადს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ნახევარზე მეტი ყმაწვილებისა სკოლის გარედ რჩება. სკოლასაც თვალ-საჩინო სიკეთე ვერაფერი მოაქვს. გაატარებს ყმაწვილი სკოლაში სამ-ოთხს წელიწადს და ბოლოს ჩვენმა „კურსოვნიკმა" ძლივს იცის მდორედ წერა-კითხვა. გავიდეს დრო და ეს სუსტად შესწავლილი წერა-კითხვაც ავიწყდება. რა ვუყოთ, ამ შემთხვევაში მასწავლებლის გამტყუნება არ შეიძლება. თავს აწევს სამი განყოფილება, 80—100 ყმაწვილი, ამ „მუნჯურმა მეთოდმა" ხომ სულ დასცა საქმე. მე თვით ვნახე, ყმაწვილი ამბობს რუსულად პასუხს და არ კი ესმის, რას ამბობს.

ჯერ-ჯერობით ღებელების ერთგული განმანათლებელი სამი სამიკიტნოა, სადაც ღებელები ძალიან გულმოდგინეთ სწირავენ მსხვერპლს „ბახუსს".

ხალხის სიბნელით სარგებლობს ზოგიერთი „ნასწავლი" და ტყავს აძრობენ გლეხებს. ერთი ამ „ნასწავლთაგანი" ამასწინად მამასახლისად

სასარგებლო იქნება, ვიდრე საღამოების გამართვა.

გავიხსენოთ იურიევის ესტონელი სტუდენტები, რომელნიც სათავეში უდგანან ყოველსავე ამისთანა საქმეს და ყოველ დრო-გამოშვებით ესტონურ გამოცემათა, თანამშრომელთ უმრავლესობას შეადგენენ, ზოგიერთს აქაურს ესტონურს გამოცემას თითქმის მარტო სტუდენტები ჰყავს თანამშრომლად, და ნუ თუ ჩვენი სტუდენტობა ვერ მოახერხებს და შესძლებს ყველა წიგნაკების შედგენას მაინც, თუ თავს გამოიდებს და შრომას არ დაზოგავს.

მეორედ კიდევ სასურველია და საჭიროც სტუდენტთა ურთიერთობის საქმე ისე იყოს მოწყობილი, როგორც გერმანელ ან ესტონელ სტუდენტებს აქვთ. ეს არის მტკიცე დამოკიდებულობა კურს-დამთავრებულ და დაუმთავრებელ სტუდენტებს შორის. ყოველი გერმანელი სტუდენტი გათავების შემდეგ თავისს კორპორაციასთან კავშირს არა სწყვეტავს, პირიქით უფრო უახლოვდება კიდეც. კურს-გათავებული მოვალეა ყოველ-წლივ დაეხმაროს კორპორაციას, კორპორაცია კიდევ ყოველ-წლივ უგზავნის წრის წევრების სიას, საქმის მიმოსვლას, თავიანთ მდგომარეობას, გაჭირვება-დალხინებას და სხვ. ჩვენში არამც-თუ დახმარებას არ უწევენ კურს-გათავებულნი, ის ვალებიც კი ვერ გადაუხდიათ კასებისა, რომლითაც სტუდენტობის დროს ხელი გაუმართავთ.

რითი უნდა აიხსნას ასეთი არა სასურველი მოვლენა—არ ვიცი. ეს კი ცხადია ყველასათვის, რომ სანამ ჩვენ თვითონ სტუდენტებადა ვართ, ყველასაგან დახმარებასა ვთხოულობთ, ყველას ვეხვეწებით, ვემუდარებით შემწეობა აღმოგვიჩინონ, გავათავებთ და ყველაფერი გვავიწყდება.

ყველა ზემოდ ნათქვამის გარდა საქართველოში საღამოები და წარმოდგენები კერძოდ რომელიმე სტუდენტის სასარგებლოდ კი არა, საზოგადოდ სტუდენტთა სასარგებლოდ უნდა იმართებოდეს. ეს ფული უნდა ეგზავნებოდეს სტუდენტებს და ისინი უნაწილებდნენ ღარიბ ამხანაგებს, თორემ ხშირად ასე ჰხდება ხოლმე, ვინც უფრო მარჯვე და მოხერხებულია, ყოველთვის ისა შოულობს ფულს და მაზედ უფრო ღარიბ-ღატაკი მშიერი რჩება. ესევე უნდა ითქვას სტიპენდიებზედაც. სასურველია და საჭიროც, რომ ყოველთვის სტუდენტებს გამოეგზავნოთ წერილი და შეეკითხნენ, ღარიბია ესა და ეს პირი, რომ სტიპენდია ან შემწეობა დაენიშნოსო. ამ შემთხვევებში ისეთ პირებს აღარ დაენიშნებათ სტიპენდიები, რომელნიც თითქმის არც-კი საჭიროებენ.

ზ. ქდიდი.

იყო. სამ წელიწადში ისე ისარგებლა „სწავლით", რომ დებულის თვალში ნამდვილ სწავლას ფასი დაუკარგა; ეხლა ყველა გაიძახის: „ნასწავლი კაცი უფრო [illegible] და [illegible], უფრო არ ებრალება საწყალი კაცი"-ო.

დებული.

—

ᲡᲝᲤ. ᲛᲣᲡᲮᲘ (მესხეთი). ეს სოფელი მდებარეობს ახალციხიდან 12 ვერსის მანძილზე. მცხოვრებნი მეტად შევიწროებული არიან უმამულობისა და უგზობის გამო. თვით სოფელს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ თუ შიგ სოფელში არ შევიდა კაცი, ვერ დაინახავს. ოთხივ კუთხივ გარტყმული მთები არტყია, რომელთა შორისაც ჩამალულია სოფელი. ჭაური და წყალი არ ვარგა. თუმცა სოფელში გამოწინწილებს თითის სისხო წყარო, გამოყვანილი ორის ვერსის მანძილიდან, მაგრამ ემჯობინებოდა, რომ ეს წყალი სულაც არა ჰქონოდა სოფელს, რადგან იგი მლაშე და შმორიანია. მტკვარი თუმცა ახლოა, მაგრამ ისიც, მეტადრე ზაფხულობით, არ ისმება, რადგან ხშირად ისეთი ალათღებული მოდის, რომ ერთ ვედრა წყალს გირვანქა შაბი არა ჰყოფნის. კლდეების გამო სიცხე სასტიკი იცის აქეთ. კაცს სული ეხუთება და გული უწუხს. სწორედ ეს გახლავთ იმისი მიზეზი, რომ მთელს ახალციხის მაზრაში მუსხი ყოველ გვარ ავადმყოფობის ბუდეთ ითვლება. რა გნებავთ, რომ აქ არ მძვინვარებდეს ყოველ წლივ: სითვლე, მუცელა, მუცლის წვა, ყვანა და სხვა. დამდუღრავი ციებ-ცხელება ხომ არის და არის. ხოლერამ 1892 წ. მთელს ორ მაზრაში, ახალციხისა და ახალქალაქისაში, მხოლოდ მუსხი მოიწონა, სადაც დაბინავდა და მუსრი გაავლო მკვიდრთ. აქაური გლეხობა უმთავრესად ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას მისდევს. ვენახები ძველად თუმცა ყოფილა, რასაც ამტკიცებს ალაგ-ალაგ დარჩენილი ვაზები და ქვევრები, მაგრამ ეხლა მევენახეობას აღარ მისდევენ. საქონლის ჟრდასაც მეტად ნანობს აქაური გლეხი, რადგან სოფლის გარეთ ფეხს არ ადგმევინებენ სახაზინო ტყის მცველნი.

მთელს ურავლის საზოგადოებაში აქამდე მხოლოდ ერთი სკოლა იყო მუსხში. ამ ორი-სამი წლის წინად ს. ს. ძველმა და ჩობარეთმა თავიანთთვის სკოლა დააარსეს. წელს კიდევ ს. ერკოტამაც მიიღო ნებართვა სამრევლო სკოლის გახსნისა, მასწავლებელიც უკვე მიიწვიეს და სკოლის შენებასაც შეუდგნენ.

ქართველი კათოლიკე.

—

ᲡᲐᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲝ (იმერეთი). ყოველ სოფელში იცის დღეობა. სხვებს არ ჩამორჩა საწულუკიძოც. 15 ივლისს დიდი ამბავი იყო საწულუკიძოში: ეს დღე წმიდა „კვირიკეს" დღეა, რომელსაც უქმობენ საწულუკიძლოები. ეკლესიის გალავანი საღამოს ჟამს სავსე იყო ხალხით; თითქმის ყველას ეტყობოდა, რომ უხვად ესვა ნუნუა. პოლიცია გაფაციცებით ადევნებდა ყველაფერს თვალ-ყურს. ხმალ-ხანჯლიანს ეკლესიის გალავანში გავლა აკრძალული ჰქონდა. მიუხედავად სასტიკ ზომებისა, საღამოს ჟამს მაინც მოხდა ხმალ-ხანჯლის ტრიალი, მაგრამ, საბედნიეროდ, დაშავებით არავინ დაშავებულა. დღესასწაულის გადახდა საწულუკიძლოებს ერთობ ძვირად უჯდებათ. თვასს ეს დღესასწაული უჯდება არა ნაკლებ 20 მანეთისა, რაიც დარიბისათვის დიდ თანხას შეადგენს. ზოგიერთნი-კი ამ დღეს არც 200 მანეთის დახარჯვას ერიდებიან. საწულუკიძო ბუნებით მდიდარი სოფელია. ნოყიერ ნიადაგს, უხვ მოსავალს, მდიდარ ბუნებას გლეხი მიწაზე მიუკრავს. აქაურნი გლეხნი თავიანთ სოფელს ძალიან იშვიათად შორდებიან. ქალაქებში იმათ ვერ ჰნახავთ იმდენს, რამდენიც სხვა სოფლებიდან არიან. ამ სოფელში არსებობს მხოლოდ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა და ამ სკოლასაც ძალიან ცოტა მოსწავლე ჰყავს. საწულუკიძლოები ჰფიქრობენ დაარსონ კიდევ ერთი სკოლა, რომელიც იქმნება საერო განათლების სამინისტროს გამგეობაში.

ილია ბახტაძე.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი.

ᲡᲐᲠᲝᲕᲝ. უანგარიშო მლოცველები ემთხვევიან დირსის სერაფიმეს ნაწილებს. მლოცველები მონასტრის გარშემო ჯგუფებად დაყოფილან და სერაფიმეს სადიდებლად დაუჯდომელს და ტროპარს კითხულობენ. სასიამოვნოა ამ სურათის ნახვა, მეტადრე საღამოობით, ტყეში დანთებულ ცეცხლის შუქზე, როცა მლოცველებს ხელში სანთლები უჭირავთ. ბევრი საოცარი განკურნება მოხდა.

ᲡᲐᲠᲝᲕᲝ. 8 საათზე მათმა იმპერატორებით უდიდებულესობათ გამოსამშვიდობებლი პარაკლისი მოისმინეს მიძინების სობოროში და საროვიდან დივეევის მონასტრისაკენ გაემგზავრნენ.

ᲓᲘᲕᲔᲔᲕᲝ. იმ გზაზე, საიდაც ხელმწიფე-იმპერატორმა უნდა გაიაროს, რამდენიმე კამარა გამართეს. მეტად შესანიშნავია ფოთლის კამარა, რომელსაც ამშვენებს ორი ურმის თვალი, ნიჩაბი, ცელი, ფოცხი და სხვა იარაღი; ქალამანიც-კი არ დავიწყებიათ. კამარა იმპერატორის გვირგვინით არის დაგვირგვინებული. მეორე კამარა ჩალის ბანს წარმოადგენს. გლეხები აღტაცებით ეგებებიან ხელმწიფე-იმპერატორს. ქოხები ბაირაღებით არის მორთული. სართვის ახლო დიდძალი ხალხი ელის ბედნიერებას ხელმწიფე-იმპერატორი იხილოს. ცხელა. სართვე და მტვერით არის დაფარული. წყაროდან რომ ბრუნდებოდა, ხელმწიფე-იმპერატორი ტყეში მიდიოდა; ხალხს რომ შეხვდა, აუარებელმა ხალხმა დაიჩოქა და სიხარულის ცრემლების დაჭღვარა.

ᲙᲣᲠᲡᲙᲘ. კურსკის საარხივო კომისიამ მოახდინა სხდომა დირს სერაფიმეს პატივსაცემლად, რომელიც კურსკშია დაბადებული.

ᲓᲘᲕᲔᲔᲕᲝ. დიდით დივეევის მონასტერში მობრძანდნენ მათი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი. კარებიდან დაწყებული სობორომდის მოლოზნები იყვნენ გამწკრივებულნი, ეკლესიის კარიბჭეებში კი—მონასტერში მოსწავლენი და მონასტრის ხორო. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ კარებში დახვდათ ყოვლად უსამღვდელოესი ნიჟეგოროდელი ნაზარი, რომელმაც სიტყვით მიჰმართა. შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ მოკლე პარაკლისი მოისმინეს და ემთხვივნენ „სასწაულთმომქმედს" „ღვთის მშობლის ლმობიერების" და „ხელთუქმნელის მაცხოვრის" ხატებს. იღუმენია მარიამი დირსი გახდა და ხელმწიფე-იმპერატორს, ხელმწიფე-იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს და იმპერატორის საგვარეულოს ყველა წევრს მიართვა დირ სერაფიმესი და „ღვთისმშობლის ლმობიერების" ხატები, რომლებიც შიგ მონასტერშია მომზადებული. სობოროში უმაღლეს სტუმართ დაათვალიერეს სტოვა ეკლესიისა, დირსი სერაფიმეს სახელობისა, ჯერ კიდევ უკურთხებელი. წირვის მოსასმენად მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ იღუმენია მარიამის კარის ეკლესიაში. წირვის შემდეგ მაღალ სტუმრებს მიართვეს პატარა მოკრძო ხატები, ოქროთი მოჭედილები. ღვთის მსახურების შემდეგ მათ იმპერატორებითნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ტრაპეზზე მიიწვიეს. შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ, მათ უმაღლესობათ და ამალის პირთ მონასტერი დაათვალიერეს და არზამასის სადგურზე წაბრძანდნენ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ეტიენ დოლეს ძეგლთან მომხდარ დემონსტრაციის შემდეგ ორი ურიაობა მოხდა. სოციალისტების ორატორები თხოულობდნენ სახელმწიფოსაგან ეკლესიის განცალკევებას. რამდენიმე შეტაკება მოხდა თავისუფალ მოაზრეთა და იმათ მოწინააღმდეგეთა შორის.

ᲠᲝᲛᲘ. კვირის არჩევნებმა უშედეგოთ ჩაიარა. „ჯურნალ დ' იტალია"-ს სიტყვით, რამპოლასა და ვანუტელის გარდა ბევრი ხმები მიიღეს დი-პიეტრომ და კაპეჩელატრომ. „იტალია" ამბობს, რომ რამპოლას უფრო მეტი მომხრე ჰყავს.

ᲙᲝᲨᲮᲘ. მეფე და დედოფალი მოვიდნენ.

ᲢᲐᲜᲟᲔᲠᲘ. აქაურ მართველ მთავრობას ოფიციალურად აცნობინებენ, რომ ტახტის მაძიებელი შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრეს და გარდაიცვალა.

ᲠᲝᲛᲘ. მეექვსე საათზე მეოთხეჯერ გამოჩნდა კვამლი. დიდ-ძალი ხალხი ელოდება წმინდა პეტრეს მოედანზე.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. ელჩმა ზინოვიევმა გადასდო შესასვენებლად წასვლა.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს აცნობებს პორტა, რომ შეამბოხეთა რაზმები დაეცნენ სოფელ კაპარს, მონასტრის ახლო, და მოჰკლეს ათი სულიაკი, იმიტომ რომ ისინი ოსმალოს ჯარს ეხმარებოდნენ რაზმებთან ბრძოლის დროს. პირველ ივლისს რაზმების წინამძღოლნი მონასტრის ვილაეტის ბოლგარელ მცხოვრებლებს ურჩევენ, უარი სთქვან გადასახადის მიცემაზე, წარადგინონ საერთო საჩივარი ოსმალოთა ჯარის შესახებ და სთხოვონ ჯარის უკან გაწვევა. მონასტირის ვალი მალე გაემგზავრება მცხოვრებლების დასამშვიდებლად. ხილმი-ფაშა სცდილობს დარიგებით დაამშვიდოს ხალხი. მან ბევრჯელ დააწყნარა უთანხმოება მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შორის.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი არზამასის სადგურიდან პეტერგოფისაკენ გაემგზავრნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ᲐᲚ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

—

პეტერბურგის ბირჟა 18 ივლისს

გაქსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
5% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335½ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288½ „
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	88½ „
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	85⅞ „
ტფილ. საადგილ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92½ „
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91¾ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190 „

—

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა 18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათ, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ:

ᲑᲐᲗᲣᲛᲡ: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ᲑᲐᲥᲝᲡ: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ᲧᲐᲠᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲘᲕᲐᲜᲡ: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲡ. 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ:

ᲑᲐᲥᲝ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს [illegible] წ.).

დ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ:

ᲑᲐᲥᲝ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

სამ. ბ. თოფურიას

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლ. ხოზის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მდებარეობის ქუჩ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. ცდამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—153)

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ბუხჰალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.

(წელიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. კურის მსმენელად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახეზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).

(10—1)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ, რომელიც გადატანილ იქმნა ქარვასლის ქუჩაზე, ბარკაიას შენობაში, „ლონდონის" სასტუმროს მახლობლად, მიღებულია „არარატი"— ნაირ-ნაირ ბუზეულობის დასახოცი; აგრეთვე აფთიაქისა, პარფიუმერიისა და კოსმეტიური საქონელი, რომელიც იაფ-ფასად იყიდება. საწყობი ღიაა დილის რვა საათიდან საღამოს ათ საათამდე. (2—2)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, დ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—20)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

ᲙᲘᲝᲡᲙᲨᲘ,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	|
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პლატონისა	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა.	1	50
რძე: მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა.	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეხვევ წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ᲪᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 872.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.